რედაქცია

გალავნის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., სხვა შრიფტით ასოზე ნახევარი კაპ., ნეკროლოგზე [illegible] ზე მეტი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმით და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . . . | 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . | 5 „ | ერთის თვით . . . . . . | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

გახტანგ და დავით დიმიტრის-ძენი თულაშვილები, ნინო დიმიტრის ასული გედევანოვისა და ანნა ვასილის ასული თულაშვილისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველის სამის დედისა და მესამის დედამთილისა, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ, ამაღლების ქუჩაზე, სახლი № 26, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სამშაბათს, 16 თებერვალს, დილის 10 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ხარკოვი 14 თებერვალს. ხარკოვის უნივერსიტეტში ამ დღეებში დაიწყება ლექციები.

კრაკოვი, 13 თებერვალს. აქ რამდენიმე სოციალისტი დაატუსაღეს.

მარსელი, 14 თებერვალს. აქაურ სოციალისტებმა მუშებში არეულობა მოახდინეს.

ბუშინდელმა გაზ. „კავკაზმა“ მოგვიტანა ახალი ამბავი: თეატრს გზები ერევა, ქართველების და სომხების თეატრის დასი რიყეზედ რჩება. ახალ ანტრეპრიონერს ზითუაშვილს ისეთი ფასი დაუნიშნავს თეატრის ქირად, რომ ყოვლად შეუძლებელია შესრულება იმის სურვილისა.

ესეთი ქცევა ზითუაშვილისა დიდად გასაკვირველია. იმას, როგორცა სჩანს, კვალი არევია და გადამდგარა თავის უწინდელ მიმართულებას.

როგორცა სჩანს, ჩვენ ქართველთ და სომეხთ დრამატიულ დასს არა აქვსთ ადგილი, რომ თავი შეიფარონ. ამ შეჭირვებიდან უნდა საუკუნოდ გამოვიდეთ. ამისი საშველი ერთი ღონის-ძიება არის. ნამესტნიკის სასახლეს პირდაპირ არის ძველი თეატრის სახლი, სადაც საჯინიბო იყო მთავარმართებელისა. მგონებთ, რომ ამ საჯინიბოს თავისი მნიშვნელობა დაეკარგოს შემდეგ იმ ცვლილებისა, რომელიც უკანასკნელ დროს მოიტანა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალი მთავარმართებელი თ. დონდუკოვი ისეთი მფარველი და თანამგრძნობი იქმნება ჩვენი სცენის წარმატებისა, რომ არ დაიშურებს გადმოსცეს ქართველთ და სომეხთ ის, ზემოხსენებული სახლი, რომელშიაც უწინდელ დროს წარმოდგენები ყოფილა რუსულ ენაზედ,

ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა დრამმატიულ საზოგადოებამ იფიქროს ამ საგანზე და, თუ შესაძლებელი და მოსახერხებელი იქნება, ეცადოს იმის სისრულეში მოყვანას.

ი. წ.

## დღიური

ჩვენ გვითხრეს, რომ თფ. საქალებო ინსტიტუტში ამ უკანასკნელ დროს ერთობ ცუდსა და ნაკლებათაც აძლევენ საჭმელ-სასმელსაო. თითქმის მუდამ დღე ერთი-და-იგივე საჭმელები აქვთო და ისიც ისე ცოტა და უვარგისი, რომ ქალები ხშირად მშიერნი რჩებიანო. სადილად სამ თავ-საჭმელს აძლევენო, მაგრამ შაგირდები თხოულობენ თურმე, ორი თავი საჭმელი მოგვეცით, მხოლოდ კარგი და სამყოფიო.

* * *

ამ თვის 13-სა და 14-ს ფოთი-თფილისის გზა კიდევ შეკრული იყო, მთებშიაც გაფუჭებული ყოფილიყო. გზა. მაგრამ გუშინ ორივე გზა გაიხსნა და ორივე მხრიდამ—რუსეთიდამაც და დასავლეთ საქართველოდამაც—ფოჩტა მოგვივიდა.

ამბობენ აგრეთვე, რომ ზღვა გაფუჭებული არისო და გემები ვერ დადიანო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენი მთავრობის ზოგიერთი უმაღლესი პირები მიდიან ბათუმში ახალ მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვის შესაგებებლად.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ შემდეგ ამბავს ვკითხულობთ:

„კავკასიის სამოქალაქო უწყების

## «დროების» ფელტონი, 16 თებერვ.

### კახეთის მატიანე

კახელმა კავალრებმა, როდესაც დამებს შეჰხვდებიან და ჰსურთ მასლაათით მათის და თავის თავის გართობა, უეჭველად ტაროსზე ლაპარაკით უნდა დაიწყონ ეს მასლაათი; მხოლოდ შემდეგ ცოტ-ცოტათ და ნელ-ნელისა ნაბიჯით შეუდგებიან ხოლმე სხვა საგნებზე მსჯელობას. მეც ჩემს წერილს ანუ კახეთის მატიანეს ასე დავიწყობ, ეგების ჩემი წერილიც კავალერი ეგონოს ვისმე და თავის გასართობად მასთან მასლაათი ისურვოს.

საშინელი ყინვებია წელს კახეთში. ეს ყინვები წინა თვეებშიაც იყო, მაგრამ ამ იანვრის ოციდგან, როდესაც კახეთში არშინზე მეტი თოვლი მოვიდა, ერთი-სამად იმატა. იანვრის დამლევს ისეთი სიცივეები და ქარბუქი იყო, რომ კაცი ვერ შორდებოდა სახლს, თუ რომ დიდი რამ საჭიროება არ თხოულობდა. გზები, წყლები და წისქვილები სრულიად გაყინული იყო. შეშა და სხვა მოსატანი ნივთები ერთი-ორად დაძვირდა. საქონელსაც გამოსვლა გაუჭირდა სადგურიდგან და, როგორც ამბობენ, ამ დამწყვდევისაგან და ცარიელის ბზის ჭამისაგან, ბევრს დაეხოცა საქონელიო, ადამიანების საიქიოსკენ მგზავრობამაც იმატა. ეხლაც ბევრია ხველა-მჭლისაგან ავად. (უხაროდეთ ჩვენს ექიმებს!). ეს ერთი კვირაა, რაც სიცივემ ცოტ-ცოტა იკლო და მეც ამაზე ლაპარაკს მოვსპობ.

აი, ამ სიცივეებში, მე მომიხდა წასვლა ს. რუის-პირის სასამართლოში და რადგანაც ამ სოფლის სასამართლო და სკოლა შესდგება ერთისავე და იმავეს ოთახიდგან, ამისათვის ძალა-უნებურად უნდა მენახა, როგორც სკოლა, აგრეთვე მასწავლებელიც.

მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, რომ არ მენახა, ის სჯობდა და აი რათა.

ბ. ნასარიძე, სოფლის მასწავლებელი, ეს-ესარის მოსულიყო თელავიდგან და გულ-ხელ დაკრეფილი იჯდა მბჟუტავ ბუხართან. გამარჯობა რომ ვუთხარ, ჯერ ხმა არც კი გამცა და შემდეგ-კი აიღო თავი მაღლა და ნაღვლიანის ხმით მომიგო—„გაგიმარჯოსო“! როდესაც ვკითხე—ამ დაღონების მიზეზი რა არის-მეთქი? იმან პასუხის წინეთ მიიშვირა ხელი ჩამქრალს ბუხარზე და დაატანა.

— განა არა მაქვს დასაღონებელი და სადარდებელი! აი ეს-ეს არის თელავიდგან მოვედი გაყინული და აბა შეხედე ჩემს ბუხარს, რას გეუბნება?

— რატომ სადაც ჯერ-არს არ ატყობინებ ამ შენს გაჭირებულს მდომარეობაზე?

— კი შევატყობინე და ქაღალდიც მივე, მაგრამ რა გამოდის შეტყობინებიდგან და საჩივრისგან? მე ჩემი მემართება და იქნება იმისი მოწერილობა ან ასრულება აპრილში მოვიდეს... რაღაც ორიოდე გროში ჯამაგირი მაქვს, ისიც ამ შეშაში მიმდის და ვარ ამ ვაივაგლახში. მთელი ეს ზამთარი ხან თხოვნით და ხან ჩემის ჯიბის დახმარებით უნთებდი ცეცხლს მოსწავლეებს და ეხლა კი იძულებული შევიქენ შემეყენებინა სწავლა და მოსწავლეები დამეთხოვენა.

ამ სკოლაში დაიარებიან ოც-დაათამდის ყმაწვილები. ქალები სრულიად არ დადიან. ბ-ნ ნასარიძეს, როგორც თვითონ სთქვა, წელს სდომებია ქალებისაც მიღება, მაგრამ ავეჯის და სახელმძღვანელოების უქონლობას დაუბრკოლებია. ოთახში სდგას სამი პარტი და ოც-და-ათი შაგირდი ამ სამს პარტზე იჭყუნებიან რომლებიც ველარ ეტევიან, ისინი ან

მთავარ-მმართებელმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მთავარ-სამმართველოს უფროსს ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკის მიანდო შეადგინოს Tფილისში, თავის თავმჯდომარეობით, კამისია, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას სამოქალაქო უწყების ყველა უფროსები და სამინისტროების წარმომადგენელნი და რომელმანც უნდა გადახედოს კავკასიის მხრის შესახები ყველა კანონები და აგრეთვე წარადგინოს თავის აზრი კავკასიის გამგეობის რეფორმებზე. ეს კამისია სამინისტროების წირმომადგენელთა Tფილისში ჩამოსვლამდინ დაიწყებს მოქმედებას“.

***

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ახალ მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგი მარშრუტი: 15 თებერვალს ის უნდა გამოსულიყო Oდესიდამ; 17-ს ბათუმში მოვა, სადაც 20-მდინ დარჩება; 20-ს ფოთში ჩამოვა, 21-ს იქნება სოხუმში, 23 სოჭას და ტუაპსეში, 24-გელენჯიკში, 25 ნოვოროსისკში, 28 აქედამ ეკატერინოდარში გადავა, 5 მარტს პიატიგორსკში, 7-ს ვლადიკავკასში, სადაც ორ დღეს დაჰყოფს და 10 მარტს კი ჩამოვა Tფილისში.

***

ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხადებს, რომ დაბა Oჩამჩირეში ტელეგრაფის სტანცია გაიხსნა.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! სოფ. ტირძნიში სახელმწიფო გლეხთა ზაქარა და ეფრემა ტეტუნაშვილებს ჰქონიათ საკუთრება, თექვსმეტი დღის მინდვრის მიწა სულხანოვის მამულების შუა. სულხანოვს მოუნდომებია დასაკუთრება ამ მიწისა და წაურთმევია. აგერ თორმეტი წელიწადია ამაზედ დავაობდა, მაგრამ ამ დავამ მიწასთან გაასწორა. ამ დავაში ეფრემა ტეტუნაშვილი მომკვდარა, იმას დარჩენია ობლები.

რასაკვირველია, სასამართლოს აპეკუნი მოუთხოვნია; ამაზედ ზაქარა ტეტუნაშვილს უთხოვნია მამასახლისისათვის, მამასახლისსაც მოუხდენია ყრილობა და ამოურჩევიათ აპეკუნად ობლების უფროსი ძმა Iვანე ტეტუნაშვილი. გაიგებს თუ არა სულხანოვი აპეკუნის დანიშვნას, იმწამსვე ქაღალდს მისცემს უკანონოდ შედგენაზე და მოუშლის განჩინებას. გლეხებსაც, ვისაც ხელი უწერიათ, გადაათქმევინებს, რადგან თითქმის სულ ამისი მამულითა სცხოვრებენ; სუდიამამასახლისს მისცემს სისხლის სამართალში. ამ აპეკუნობაზედ თითქმის მესამე წელიწადი მიდის, რაც წვალობს ტეტუნაშვილი და სულხანოვის შიშით სოფელს ვერ ამოურჩევია აპეკუნი, თუმცა რამტელჯერმე იყო ყრილობა პრისტავისაგან, მაგრამ მაინც კიდევ სულხანოვის შიშით მეორეთ ველარ დანიშნეს აპეკუნი.

გასულ 25-ს ენკენისთვეს მომივიდა მოწერილობა მაზრის უფროსისაგან, რომელშიაც ეწერა, ტეტუნაშვილი თხოულობსო, რომ ამოურჩიონ იმის ძმის-წულებს აპეკუნი, ყრილობაზე დასწრების ნებას სულხანოვს ნუ მისცემთო, რადგანაც ხალხს მისი ეშინიანო. ამასთანავე ბ. მაზრის უფროსი აწერს: მიღებისთანავე ამ მოწერილობისა წადით და მოახდინეთ ყრილობა, ამოურჩეთ ტეტუნაშვილებს საიმედო პირი აპეკუნათო.

17-ს ქრისტიშობას აველი სოფ: Tერგვიხში; სადაც იყო დანიშნული ყრილობა და გამოუცხადე ხალხს რისთვისაც შესდგა ყრილობა, აუხსენი კანონით ვის ეკუთვნის პეაკუნობა, როგორი საიმედო პირი უნდა იყვეს. შემდეგ მამასახლისს გადავეცი, გამოუცხადოს ხალხს, რომ ზაქარა ტეტუნაშვილი ითხოვს, ან თითონ, ან უფროსი ძმა ობლებისა ამოირჩიონ აპეკუნად. ხალხის მომატებულმა ნაწილმა დაიძახა: „ჩვენ აპეკუნს ვერ ამოვირჩევთ; მაგის გადამკიდე დაღუპულნი ვართ ბატონისაგანა!“ როდესაც დამშვიდდნენ, კიდევ დავიწყე ახსნა, რომ უაპეკუნოდ თქვენთვისაც არ არის კარგი; თუ ობლებს დაეფანტებათ შეძლება, სოფელს გადახდებათ; თუ კანონიერს მიზეზს პოულობთ, შეგიძლიანთ სხვა ამოურჩიოთ. მიპასუხეს: „—Tუ კი ამოვარჩევთ, ამათზე უკეთეს ვის ამოვირჩევთ, ან ვინ გაუფრთხილდება, მაგრამ...არას გზით არ შეგვიძლიან.“

შემდეგ გაჩნდა ერთმანეთში ლაპარაკი. უცებ ერთი მოთავე გამოვიდა და სთქვა: „—Iსევ Iვანე იყვეს!“ და თანაც ზედ „დაატანა: „—რაც უნდა მიყოს ბატონმაო“. მე არ ვენდე ერთი ხმით დაძახებით; გაკეთებული მქონდა სია, სახელს და გვარს ვკითხულობდი, საკუთრივ ყველას ვკითხე: ვისაც Iვანე გსურთ, მარჯვნივ დადეგით, თუ არა მარცხნივ, ოთხმოც-დათუთხმეტ კაცში, სამოც-და-თოთხმეტმა ამოირჩიეს და დანარჩენებმა უარი სთქვეს. როცა ვკითხე: თქვენ რაღაზედ ამბობთ უარს? მიპასუხეს: „პირველშიაც რო ამოვირჩიეთ აპეკუნად, ჯერ ისიც არ მოგვინელებია, ლამის მიწასთან გაგვასწოროს ჩვენმა ბატონმა. ჩვენ მაინც მეტნი ვართ. მომეტეპულთ ხომ ირჩიე.

მართლადაც არ არიან გასამტყუნარნი, უნდა მოერიდნონ, რადგანაც ამისი (სულხანოვის) მამულით უდგიათ სული. სხვათა შორის მამასახლისის თანაშემწემ გამაკვირვა: როცა ვკითხე, შენ გსურს, თუ არა-მეთქი? მითხრა: —მომითმინეთ, მამასახლისს დავეკითხოო. აქვე ჩემთან დეეკითხა და მეუბნება: —რა ვქნა, შენი ჭირიმე, მამასახლისი ნებას არ მაძლევს?

შემდეგ ჩამოვიარე ბ. სულხანოვთან იმ აზრით, რომ მეთხოვნა--როგორმე მორიგებულიყო ტეტუნაშვილთან. შევედი თუ არა, გამარჯვებაც არ დამაცალეს დედამ და შვილმა, მაშინათვე ის მითხრეს „შენგნით არა გვქონდა იმედი, რომ როგორც კეთილშობილი კეთილშობილის მხარეს ირ დაიჭერდი და გლეხს მიუდგებოდი“! მემრე სულხანოვი მეხვეწებოდა, რომ ეგ პრიგოვორი მოშალეო. აბა, ამ ოქმის შემდეგ, რაღა დამაყენებდა, წამოვედი

რამტელიმე დღის შემდეგ საჩივარი მისცა მაზრის უფროსს, რომელშიაც ამბობს, რომ არავის ნება არა აქვსო ყრილობის მოხდენისაო გარდა პოსრედნიკისა და ნაჩალნიკისაო; Dიასამიძე მოვიდაო, ყრილობა მოახდინა, ხალხი დალახავო, ძალად ხელი მოაწერინაო ოპეკუნის ამორჩევაზედაო; ამისათვის გთხოვთ ამაზედ გამოძიება დანიშნოთ და პასუხის გებაში მისცეთ Dიასამიძეო, რადგანაც კანონ გარეთ გადავიდა ის პრიგოვორიც მოშალეთო!..

ამ ნაირად, როგორც ჰხედავთ, ერთი უბრალო საქმის გულისთვის, გლეხის ობლების აპეკუნის დანიშვნაზე, ბ. სულხანოვს ჰსურს დაჰღუპოს ტეტუნაშვილები (ბარე ხუთი კაცია გამოძიების ქვეშ ძველი განჩინების შედგენაზე, სულხანოვის ჩივილით). Dღეს კიდევ ჩემს პასუხის-გებაში მიცემას ცდილობს.

რასაკვირველია, ეს პასუხის-გება და გამოძიება არ მაშინებს მე, რადგან საქმის გარემოება სწორედ ისე იყო, როგორც აგიწერეთ. მაგრამ მე მხოლოდ ის მაკვირვებს და ამის განმარტებას ვკითხავ ბ. Iვ. სულხანოვს: თუ სხვა რამე აზრი და განზრახვა არა აქვს, რა ენაღვლება იმას—ვინც უნდა იყვეს იმ ზემოხსენებულ გლეხის ობოლთა აპეკუნი?

თ. ნ. დიასამიძე.

სოფ. საქაშეთი, 29 იანვარს.

---

ფანჯრებში არიან ჩამომსხდარნი და ან თავიანთ ორ ფეხზედ. ბ-ნი ხითაროვი დაჰპირებია წელს ავეჯის და სახელმძღვანელოების გამოგზავნას, მაგრამ ხომ იცით, მარტო დაპირება არ არის საკმაო. ურიგო არ იქნება, ჩვენმა „წერა-კითხვის კამიტეტმა“ მოაშველოს ეს ავეჯი და სახელმძღვანელოები.

რაც შეეხება მასწავლებელს, ეს ყოჩაღი ბიჭი ჩანს და მგონი კარგათაც უნდა ასწავლიდეს. ერთი ეს შევნიშნე კარგი ამ ნასარიძეში, რომ ხალხი მიუმხრია და გავლენა აქვს სოფელში. Dიდი ხანი არ არის, რაც ეს ამ სოფელშია, მაგრამ ხალხი მაინც პატივსა სცემს.

ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენებურის სასწავლებლების მმართველნი მოკლებულნი არიან ამ პატივისცემასა და ხალხთან დაახლოვებასა, როდესაც ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სოფლის მასწავლებლისათვის.

Dიახ, მე გადავედი სოფ. რუისპირის სასამართლოში და მამასახლისი უნდა მენახა, მაგრამ ვერა ვნახე. ჩემდა საუბედუროდ სადღაც საქეიფოთ წასულიყო და თავისი სამმართველო უბრალო ხალხისათვის დეეთმო. მეც ამ ხალხში გავერიე და ყურს ვუგდებდი მათს ლაპარაკს. ერთი გლეხი ამბობდა:

— რავქნათ, რომ ეს ცხრა-ასი კოდი სასოფლო პური იკარგება და ყურს არავინ აბარტყუნებს!

მეორე უპასუხებდა:

— აკი გითხართ წინეთვე, რომ ჩვენ ეგ გამოჩერჩეტებული მამასახლისი ვერ მოგვივლის, მაგან თუ წითელი ჯამი და შიგ წითელი ღვინო ნახა, შენი სამართალი და პური ფეხებზედ ჰკიდია!..

მესამე და მეოთხე კიდენ სხვებს ამბობდენ, მაგრამ თავი დავანებე ამათ და მხოლოდ ეს ორი ფაქტი ჩამრჩა გონებაში: ა) სოფელს რუისპირს არა აქვს პურის მაღაზია და დღეს-ხვალეობით ხან აქ უნახავთ, დაულპიათ სასოფლო პური და ხან იქ; წელს-კი სულ თავი მიუნებებიათ და ვისაც რამდენი სდომებია, იმდენი წაუღია და მომთხოვნი კი აღარავინა სჩანს.

საკვირველია, ღმერთმანი: ჩალაუბანში გზის გასაკეთებლად კი ერთი ბრძანებაა საჭირო, რომ ქუდზე კაცი გარეკონ თოვლ-ჭყაპში და ერთი სოფლის პურის მაღაზია კი ვერ აუშენებინებიათ სამასის კომლისთვის!.. გულ-შემატკივრობაა, მა რა ღვთის რისხვაა, ჩვენის ხალხისთვის!

Iქნება ვისმე ჰგონია, ეს პური რუისპირელებს როდესმე წეერთმევათ ან მღვდლებისგან და მასწავლებლებისგან და ამისთვის ამჯობინებენ ასე უყურადღებოდ გაფანტვას?! აქ კი ცხადად სჩანს ხალხისათვის თავ-დადება! მაგრა, რას ვამბობთ, აკაკისა არ იყოს, ღირს ამეებზედ ლაპარაკი!

მეორე ფაქტი, რომელიც ჩამრჩა გონებაში გახლდათ ეს: თურმე წინანდელი მამასახლისი ყოფილა გაცვეთილი და ძალიან დახელოვნებული ყოველს ხელ-მრუდობაში და ენის და ვონების უკუღმა მოქმედებაში; სოფლელებს რომ კარგად უგრძვნიათ ამისი მოქმედება აუდგარან და გა[...] მოუცვლიათ ეს კაცი. მის ბადლა[...] ამოურჩევიათ კაცი სულ წინაღმდე[...] გის თვისებისა კი არა, არამედ გონე[...] ბა და ენა დამდგარი, ხელით და ფე[...] ხით ზარმაცი, მიდრეკილებით ღვინი[...] სათვის სულ-დაბნეული. ეს მოუხდე[...] ნიათ იმ განძრახვით, რომ რაც ა[...] შეეძლება, რას მოგვპარავს ან გამო[...] გვართმევსო! მართლაც, ასე მომხდა[...] რა: არც არა უკეთებია და არც არა[...] ვისთვისმე ურთმევია. უფილა ი[...] თავ-დადებული რუის-პირისთვის, რო[...] გორც მე ჩინეთისათვის... ეხლა მა[...] ხედარან სოფლელები ამ უკუღმარ[...] თობას და გაიძახნენ: „—ნეტა ის[...] ის ყოფილიყო და თვითონაც ეჭა[...] და ჩვენთვინაც ეკეთებინა რამეო, ე[...] ნემ ეს ჩვენთვინაც და თავისთვინა[...] ურგებიო!“

ეს ჩემი მატიანე ამ ხანად უნ[...] ამითი შემეწყვიტა, მაგრამ ძალა-უნ[...]

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

## ამერიკის შეერთებული შტატები.

რის ვაი-ვაგლახით და დავიდარაბით გათავდა, როგორც იქნა, ამერიკის პრეზიდენტის გარფილდის მკვლელის გიტოს საქმე. სასამართლომ, როგორც უკვე ცნობილია, სიკვდილით დასჯა, ჩამოხრჩობა გარდაუწყვიტა გიტოს. როგორც მთელი პროცესის მსვლელობის დროს, ისე უკანასკნელ სხდომაზედაც ვერ მოითმინა გიტომ, რომ რამოდენიმე ცხარე მკვახე სიტყვები არ ესროლა მსაჯულთათვის. გიტომ ითხოვა ხელ-ახლავ გარდახედვა საქმისა. სასამართლომ უარი გამოუცხადა. შემდეგ ითხოვა, რომ სასამართლოს გარდაწყვეტილებას აღსრულება რაც რაც შეიძლება გრძელ ვადაზედ გადადვან. ამაზედაც უარი უთხრა სასამართლომ და ეს გარდაწყვეტილება 30 ივნისს უნდა მოვიდეს სისრულეში. მაშინ გიტომ უკანასკნელად მიმართა სასამართლოს შემდეგი სიტყვებით: „მე არა ვარ დამნაშავე იმაში, რასაც მაბრალებენ. ეს ღვთის საქმე იყო, და არა ჩემი! უფალი გაგცემთ ჩემ მაგიერ პასუხს ამისთანა გარდაწყვეტილებისათვის. ამერიკის ხალხი სისხლში დაიწყებს ცურვას, თუ მე სამარე გამითხარეთ. უფალმა შეინდოს თქვენი სული! მე უფრო ვარჩევ აქ ჯდომას, ამ ბრალდებულთ ჩამოსაჯდომზე, ვინემ ნაფიცებისა და მსაჯულთა ალაგას. მე არ მეშინიან სიკვდილისა! მე აქ ვდგევარ, როგორც ღვთის კაცი! ამ გარყვნილ შთამომავლობის გარდაწყვეტილება მე არაფრად მიმაჩნია. ათასწილად უკეთ ვარჩევ ამ მდგომარეობაში სიკვდილს, ვინემ იმათ მდგომარეობაში, რომელთაც მე მომწამლეს“!

—

**იტალია.** პაპს ლეონ XIII-ეს მიუმართავს იტალიის ეპისკოპოსებისათვის წერილით, რომელშიაც ის უხატავს მათ ეკკლესიებისათვის საშიშარ მდგომარეობის მოლოდინს და მისი მტრების წადილს, გააქრონ ხალხში სარწმუნოებისადმი მიდრეკილება. წმ. მამა მხურვალედ ჰკიცხავს იმათ, რომელნიც ამბობენო, ვითომ ჩვენ ხელს უშლიდეთ კაცობრიობის განათლების წარმატებას. ის კი არა ჩვენ მუდამ კაცობრიობის სიკეთისათვის ვზრუნავთო, ამბობს პაპი.

## პედაგოგიური შენიშვნები

აქამდის ჩვენში იმისთანა სკოლები არ არსებობდნენ, რომლებსაც თავისი პირ-და-პირი დანიშნულება სისრულეში მოეყვანათ. ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ ბევრი მიზეზები, რომლის გამო სკოლას არ შეეძლო თავის მიზნის არამც თუ სისრულეში მოყვანა, არამედ რამოდენიმედ მიღწევაც. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის სასწავლებელთ რიცხვის სიმცირე და უმეტესად მათი მოუმზადებლობა.

მაგრამ ახლა ჩვენი სახალხო სკოლები თან-და-თან იცვლიან თავის ძველს სახეს და სხვა ნიადაგზე სდგამენ ფეხს. ამის ახსნა ადვილია, თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ ჩვენ, ღვთის მადლით, ველირსეთ იმისთანა სასწავლებლებს (სამასწავლებლო სემინარიებს და ინსტიტუტს), საიდამაც გამოდიან სპეციალურად მომზადებული ოსტატები.

ახლა კი სხვა რამ გვაწუხებს:—სად არის საზოგადო სკოლები?—ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერჯერობით ბევრ საზოგადოებაში და სოფლებში სკოლები არ არსებობენ და სადაც სკოლები არის გახსნილი, იქაც ყველანი ვერ სარგებლობენ, არამედ იმაში არიან ზოგიერთა უმეტესად მდიდრების შვილები, რადგან სკოლაში სიარული ღარიბს არ შეუძლია, მასწავლებელს ჯამაგირი უნდა აძლიოს და წიგნების ყიდვაც დაჭირდება, ამის გამო ამათთვის ხშირად სკოლების კარები დახშულია.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება და რა ცვლილება და რეფორმებია საჭირო ჩვენ სკოლებისათვის, თუ მათი კეთილ-დღეობის მოსურნე ვართ? ჩემის აზრით საზოგადოდ სკოლაში დანიშნული და განსაზღვრული უნდა იყოს დრო, როგორც საგნების შესწავლის, აგრეთვე ხელოსნობის და ენების კარგად წასაყვანად, ასე რომ რამდენიმე დანიშნულ წლის განმავალობაში მასწავლებელმა უნდა მოასწროს, რაც კი დანიშნული აქვს. სასურველია რომ ყოველ სახლში და ოჯახში გახსნილი იყოს „დედის სკოლა“, სახალხო სკოლა კი— ყოველ საზოგადოებაში, ყოველ სოფელში.

სახალხო სკოლაში მასწავლებელმა უმეტეს ნაწილად უნდა ავარჯიშოს შინაგანი გრძნობები, გონების გამომხატველობა, ფანტაზია და მეხსიერება ყმაწვილისა, აგრეთვე სწავლის მომხმარებელი ორგანოები—ხელი და ენა;— ესენი მასწავლებელმა უნდა ავარჯიშოს წერა-კითხვით, ხატვით, გალობით, ზომით, ანგარიშით და სხვა საგნებით.

„დედის სკოლაში“ უმეტეს ნაწილად უნდა მიაქციონ ყურადღება გარეგან გრძნობების ვარჯიშობაზე.

სანამ ჩვენს სასწავლებელში უმთავრესი ადგილი „კლასის ორგანიზაციას“ და ხელოვნებით პროგრამმებს ეჭირება,—ჩვენი განათლების საქმე საზოგადოდ ხალხის საკუთრებად არ შეიქმნება და უმეტესად ხალხის მცირე ნაწილი ისარგებლებს იმითი.

უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენ სასწავლებლებს ავაცილოთ თავიდამ სხვა-და-სხვა ძალ-დატანება საშუალება და ზომები, ვეცადოთ—ჩვენმა პედაგოგებმა ყოველი ძალი-და-ღონე და ენერგია იხმარონ მისთვის, რომ ვისაც სურს და შეუძლია სწავლა, იმათ ასწავლონ; უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ცხოვრების პირობანი და მისი მოთხოვნილება წარმოგვიდგენენ ჩვენ უალრისს და მშვენიერ ბუნებით საშვალებაებს, რომლების ძალით მშობლები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ და შრომობენ თავიანთ შვილების აღზრდისათვის და განათლებისათვის.

ყველა ჩვენგანი იმ ჰაზრისა ვართ ახლა, რომ განათლება უსაჭიროესს საგანს შეადგენს, რადგანაც ის, სხვათა შორის, გვაძლევს საშვალებას ცხოვრების სიბნელეს მხნედ ომი გაუწიოთ და მატერიალურად პატიოსან და სინდისიან მშრომელს ასაზრდოებს...

თუმცა ჩვენი სასწავლებლები სრულ კეთილ-დღეობაში არ არიან, მაგრამ მაინც ყველანი ყოველ-წლობით შეგირდებით გავსებულნი არიან. თუ ეს ფაქტი ყველასთვის ნათლად სჩანს, მაშასადამე საჭირო არ არის სასწავლებლებმა რაიმე ძალ-დატანებით საშვალება იხმაროს; მშობლებს უნდა მიანდოთ თავიანთ შვილების სწავლაზე თვალ-ყური დაიჭირონ. სკოლა აძლევს ადამიანს ცოდნის და სწავლის შეძენის ღონის-ძიებას, აძლევს ღონის-ძიებას, რომ შემდეგ შეიძლოს, მოახერხოს უმეტესი სწავლა-ცოდნის შეძენა.

სწავლის წარმატების საქმეში უმთავრესად ორი ძალა მოქმედობს: ა) შაგირდის სწავლის სურვილი და ბ) მასწავლებლის ხელოვნება—განაღვიძოს და გამოიწვიოს ბავშვებში ეს სურვილი და ლტოლვილება სწავლისადმი.

კარგი მასწავლებლის სკოლა მუდამ შეგირდებით სავსეა. გაკვეთილებს მხოლოდ ის აკლდება ხოლმე, რომელსაც ნამდვილად სკოლაში მისვლა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია. ცუდ მასწავლებელთან შე-

---

ბურად ერთს თელავის დროს-გატარებაზედაც უნდა მოგახსენოთ.

დღეს მთელი თელავი გაყოფილია ორ უბნად: ერთს უბანს შეადგენენ ძველ-გალავნელები და მეორეს—თელაველნი. ეს ორი მხარე, სხვა დროს ძმურად მცხოვრებნი, ეს სამი თვეა, რაც გამხდარან ერთმანეთის მოსისხლე მტრებად. დაუკარგავთ კაცობრიული გრძნობა, კაცთ-შებრალება და ესევიან ერთმანეთს ყოველ კვირა-უქმე დღეს. ყველა ამათგანი სცდილობს, რაც შეიძლება უწყალოდ სცემოს და დაამახინჯოს მეორე უბნელი და ამათში ის ითვლება მამაცად, ვინც უფრო მეტს მხეცობას იჩენს.

მათს მოქმედებას ვერ ვუპოვე მაგალითი ვერც ერთს ცხოველების სამეფოში. მარტოდ, ისიც მცირედ, შეიძლება ამ თელაველების მოქმედებას შეედაროს ძაღლებისაგან მგელის მომწყვდევა... როგორც ძაღლებმა თუ როგორმე მოიმწყვდიეს მგელი, აღარ იციან საზღვარი ყეფისა და ჯინჯისა, ეგრეთვე თელაველთ მეომრებმა არ იციან დანდობა თავისის მოწინააღმდეგესი, თუნდ რომ ის უსულოდ ეგდოს მიწაზედ.

აი, ამ ყეინობასაც, დიდ-მარხვის ორშაბათს, შეიყარნენ ბაზარში ეს მეომარნი და ასტეხეს საშინელი ღრიალი და თავ-პირის მტვრევა. თითქმის მთელი თელავი აქ იყო მოკრეფილი, სულ რო ცოტა ვსთქვათ, ხუთი ათასი სული მაინც იქნებოდა. ჯერ თელაველებმა აჯობეს და მთელი ძველ-გალავნელი უბანი გაირეკეს თავ-პირის მტვრევით; ბოლოს მოემატათ ხალხი ძველ-გალავნელებს, შამოუტიეს თელაველებს და სულ სათითაოდ მიმალეს დუქნებში და სახლებში.

მაგრამ, ამას აღარ დასჯერდნენ, ატყდა საშინელი ქვის კრივი, სახლების და დუქნების მტვრევა. მისცვივდენ მაზრის სამმართველოის შეშის საჟენებს და სულ ქუჩებში გაფინეს. ჩაამტვრიეს რამდენიმე სახლის ფანჯრები. მისცვივდენ ყოველს ჩოხაში თუ შინელში გახვეულს გლეხებს და სასიკვდილოდ სცემეს. უოველთვის უფრო ემტერებიან ხოლმე სოფლელებს და თუ ამ შემთხვევაში მოასწრეს, სასიკვდილოდ არ ინდობენ (ეტყობათ, ამათაც გულ-შემატკივრობა ჰქონიათ გლეხებისთვის, რომ ასე ასწავლიან ხოლმე ცემა-ტყეპის ატანას). ასის წლის ბებრებსაც კი არა ზოგავდენ და ქვებს ესროდენ.

მეც, თუმც კარგი პალტოც მეცვა და მოშორებითაც ვიდექ, ერთი კარგი მდუზეს, მაგრამ ღვთის მადლით უვნებელად ჩამიარა...

ნეტა ვიცოდე—ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე? ღმერთი, ეშმაკი, თელავი, მე, თუ თელავის ადმინისტრაცია? აქ ვისაცა ვკითხე, ყველა იმას ამბობს ეგ ჩემი საქმე არ არისო და ახლა, ბ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენ გვიჩვენოთ, ვისი ბრალია ეს უწესოების მოხდენა. ძალიან დაგვავალებთ.

ეს სამი თვეა, რაც ეს ბაქი-ბუქია და არავინ არის პატრონი. ყველა, იმას გაიძახის:

„— მეეცა, სეირს ვუყუროთ! ვის რა დავი აქვს, ვის რა ეკარგებაო!“

მართლაც, მგონი არც ერთს ჩვენის ქვეყნის კუთხეში ეს ოინები და ორის უბნის ასე გადამტერება აღარ მოიპოვება და აქ ჩვენ მხოლოდ ჩვენ თელაველნი ვამტვრევთ ერთმანეთს თავ-პირს. არ ვიცი, აქვს ამ კრივებზე რამე გავლენა სიმთვრალეს, ზნეობით გარყვნას და ავაზაკობას, თუ არა? ეს კი ნამდვილია, რომ როგორც ამ კრივების დაწყობის წინეთ იყრებიან თელავის მაწანწალები დუქნებში და მთვრალობენ, ეგრეთვე კრივის შემდეგ შედიან ისევ სამიკიტნოებში და მთელს ღამეს იქ ლოთობაში და გარყვნილებაში ატარებენ. მგონი ამ მხრითაც რო ავილოთ თელავის კრივი, ღირს რომ მოაშლევინონ და თუ არ მოაშლევინებენ, სხვა გვარი მიმართულება მაინც მისცენ...

მგზავრი.

თებერვლის 8-სა.

გირდების შერევა არას გზით და არა-ვითარ ჯოხით არ შეიძლება და თუ შეაგროვებთ, ცდილობენ დრო იშოვნონ, რომ გაიქცნენ.

მაგრამ ის ფაქტი, რომ შაგირდები, ყოველ-წლობით ჩვენს სასწავლებლებს ავსებენ, სრულებითაც არ ამტკიცებენ იმას, ვითომც საზოგადოება კეთილ—განწყობილობაში იყოს და კარგის თვალით უყურებდეს თავის სკოლებს. არა, ამას, ჩემის ჰაზრით, საჭიროება მოითხოვს, რადგანაც ახლანდელ დროში უსწავლელ—გაუნათლებელ ადამიანს არსად არა აქვს ადგილი.

ყოველ დედას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ რითაც ჩვენ გვინდა დავასაჩუქროთ ადამიანი მთელს მის შემდეგ ცხოვრებისათვის, მას პირველად სკოლაში უნდა ჩაენერგოს. უმთავრესი შტოები, რომელნიც ხეს შემდეგში ექნება, ის თავის პირველი წლებში ისხამს ხოლმე, და ბოლოს მხოლოდ ეს ტოტები გაიზარდნენ.

ჩვენში შინაური აღზრდა შეძლებულ და მდიდარ ხალხშიაც იშვიათი მოვლინებაა. რა არის ამის მიზეზი? მატერიალურ მხარეს უნდა მივაწეროთ ეს, თუ სხვა რამეს? არა ყველა ცდილობს ადრე ტეიყვანოს შვილი სკოლაში და თავიდამ აღზრდის მოვალეობა მოიცილოს; იმას კი არ ჰფიქრობს-რა მოსდევს ამას: რადგანაც ბავში ფიზიკურად ჯერ კიდევ სუსტია და ძალ-ღატანებით გონებითა შრომა მას არ შეუძლია, ამისთვის ის ჩლუნგდება როგორც გონებით, აგრეთვე ფიზიკურად—და მისი გამობრუნება ღმერთზედ ჰკიდია! მშობლები კი სკოლას ყვედრებას დაუწყებენ; მაგრამ სკოლა თანახმად „სისტემისა“ ამას არ ეძიებს; მას აქვს მხედველობაში საშვალო შაგირდი, რომელსაც ის ზრდის და ასწავლის, სხვაზედ კი არ ჰფიქრობს.

მასწავლებელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა მიჰმართავს ამ საზოგადოების წევრთ და სთხოვს, ვისაც წარსულის 1881 წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, ამ ადრესით გამოგზავნოს; **Въ Тифлисъ. Козначею Общества распространенія грамотности князю Георгію Михайловичу Туманову. Барятинская улица, собственый домъ.** (6—4)

### ისყიდება

შუა-ბაზარში, აკიმოვის ქუჩაზედ სახლი მიწითა, აგრეთვე ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზედ სამ-სართულიანი სახლი № 13, იქვე დიდი ადგილი. პირობები შეიტყობა იქვე სახლის-პატრონებთან, ან დამარატკისთან, ბარონის ქუჩ., № 15. (3—2)

ისყიდება ხუთი ათასი ფუთი თივა; ერთი ათასი ფუთი ქერი; სამი ათასი ფუთი პური. მსურველთ შეუძლიანთ ფასი გაიგონ ვაყის მღვდლის, გორის მაზრის, ი. მახარობლიძისაგან ან გომის სტანციაში ან თვით ს. ვაყაში, რომელიც ამ სტანციას $1\frac{1}{2}$ ვერსით შორამს. (5—4)

### ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეაში
*(Maison de confiance)*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| ხაუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—86)

ნაფიცი ვექილი
ალექსანდრე მირიანის-ძე
**ჭყონია**

მიიღებს ყველა ხასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—3)

გორის მახლობლად სამ სოფელში, რომელნიც მდებარეობენ 3, 7-ს და 8 ვერსზედ, იყიდებიან ყოვლის ფრით შემკობილი სახნავი და სათესი მამულები თავიანთის წყლით და საძოვრით.

მსურველს შეუძლიან მიმართოს გორაზედ, ოლღინსკის ქუჩაზედ, აგურსანის შერეულკში, № 6, ჯავახოვს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველივე გარემოებას და სადაც ნახავს თვით მამულების პლანს. (3—3)

თფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს პირთ, რომელნიც ისურვებენ იჯარით აიღონ მორწყვა მიხაილოვის ხიდისა და მიხაილოვის ქუჩისა მადათაანთ ქუჩიდამ მუშტაიდის ბაღამდე, მობრძანდნენ ამ საგნის შესახებ დანიშნულ ვაჭრობაზედ, 18-ს ამა თებერვლის თვესა 12 საათზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ 2-საათამდე ნაშუადღევისა. (3—2)

თფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს პირთ, რომელნიც ისურვებენ იჯარით აიღონ საჭირო მასალების, მიწის და ქვისა მოპოება და სხვა საჭირო მუშაობა განოვის ქუჩის მხრით ქალაქის სახლის გასაშენებელ ნაწილისათვის, მობრძანდნენ ქალაქის გამგეობაში ამა თვის 19-სა 12 საათზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა ამ საქმის შესახე, შეიმლება ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ 2-საათამდე ნაშუადღევისა. (3—2)

### ანგარიში
ქვარლის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა
1880 წლისა.

1-ს იანვრისთვის 1880 წლისა მდგომარეობდა:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,460—30 | გასესხებული — — | 4,966—40 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 3,224— „ | ნაღდათ — — — | 372—82 |
| სათადარიგო თანხა — | 234—27 | | |
| წმინდა მოგება — — | 416—65 | | |
| სულ— | 5,339—22 | სულ— | 5,339—22 |

1880 წელში:

| შემოვიდა: | მან. კაპ. | გავიდა: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 300— 4 | წლის ფული— — — | 90—97 |
| სარგებელი დაჭერილი სესხობის ანუ ახალის ვადის მიცემის დროს — | 642—55 | გასესხებული— — — | 3,832—47 |
| ჯარიმა — — — — | 128—80 | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილის ფულის | 193—44 |
| დაბრუნებული სესხი — | 3,495—20 | სამმართველოზედ — — | 97— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 193—44 | სხვა-და-სხვა გასავალი — | 3—76 |
| სათადარიგო თანხა — | 22—33 | ალებ-მიცემისა — — | 123—45 |
| სულ— | 4,782—36 | სულ— | 4,341— 9 |

1-ს იანვრისა თვის 1881 წლისა არის

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,673—37 | გასესხებული— — — | 5,303—67 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 3,417—44 | ნაღდი ფული — — | 814—9 |
| სათადარიკო თანხა — | 256— | | |
| წმინდა მოგება — — | 770—60 | | |
| სულ— | 6,117—76 | სულ— | 6,117—76 |

(3—2)

მმართველნი: მიხეილ მელიქოვი. დავით რუსთველი. ნიკოლოზ მირზიკაშვილი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Февраля 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.